

ტ ყ ი მ ც ი

შ მ ა ღ ლ ა მ ა ს ი ს მ თ ა ვ რ ი ბ ი ს 8 1 6 3 1 6 8 უ ლ ა ბ ა ნ ი .

წ ე ს დ ე პ ა ნ ი ,

რომელნიც საზღვრავნ ქართლის ეპარქიის სამღვდელოების კრებების მოქმედებათა სფერას.

მართლის ეპარქიის სამღვდელოება ამა ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების კეთილ განწყობილებისათვის მოქმედებს თავის კრებებით. ტრებები არიან ოპ გვარნი: საოლქო და ეპარქიალური.

სასულიერო სასწავლებლების სამაზრო კრებები სამღვდელოებისა.

§ 1) მართლის ეპარქია, რიცხვისამებრ სასულიერო სასწავლებლებისა, რომელნიც მასში იმყოფებან, განიოფება სასწავლებლის სამ ოლქად:

თბილისისა, თელავისა და ბორისა. (17 § სასულიერო სასწავლებლის წესდებისა).

§ 2) თბილისის სასულიერო სასწავლებლის ოლქში შედის 22 უბანი, რომელიც აღნიშნული არიან ამა წესდებათა პირველს დამატებაში; ბ) თელავის ოლქში შედის 14 უბანი, აღნიშნული მეორე დამატებაში და გ) ბორის ოლქში—15 უბანი, აღნიშნული მესამე დამატებაში.

§ 3 სამღვდელოება რომელიც იმუნჯება ზემოთ აღნიშნულ ოლქებში, ჩრუნვეს თავის მაზრაში მყოფ სასწავლებელზე (წეს. § 18).

§ 4) საქართველოს ექსარხოს შეხედისამებრ, ინიციციის სასწავლებლების ოლქების სამღვდელოების კრებანი, მოსალაპარაკებლად და გარდასაწყვეტად საქმეთა, რომელნიც მას ექვემდებარებიან (წეს. § 19).

§ 5) რიცხვისამებრ უბანთა, რომელნიც შედიან სასულიერო სასწავლებლების ოლქში, სამღვდელოება ირჩევს: ა) თბილისის სასწავლებლის ოლქისა 22 დეკუტატს; ბ) თელავისა-14 დეკუტატს და გ) ბორისა 15 დეკუტატს. (§ 19)

§ 6) პრებული (კველა ერთად) თვითეული უბნისა, სახურული კენჭის ყრით ირჩევენ თითო-თითო დე-

პუტატს უბნილგან კუებაზე გასაგზავნად (განჩ. უწ. სინოდისა 18/20 დეკემბრიდამ 1867 წ.; 17 ნოემბრიდამ და 19 დეკემბრიდამ 1869 წლისა).

§ 7) დეპუტატების აღრჩევის დროს უნდა მეცადინობდნენ, რომ დეპუტატად აღრჩეულ იქმნან პირნი, რომელნიც ლირსნი არიან იმა მინდობილებისა, რაიცა მათ ეძლევათ სამღვდელოებისაგან. (ზანჩ. უწ. სინოდისა 31 მაისიდგან და 5 ივლისიდგან 1872 წლისა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა. დეპუტატები აღირჩევიან მხოლოდ ერთის, ორის და სამის წლის ვადით და არა უმეტეს, რაიცა ინიშნება აღრჩევითი ოქმში. (გან. უწ. სინოდისა 3, 17 ივნისიდგან 1870 წ.).

§ 8) აღმრჩევნი აბარებენ აღრჩეულს აღრჩევითი ოქმს, რომელიც უკანასკნელისაგან უნდა წარედგინოს კრების დროებით თავს-მჯდომარეს.

§ 9) ხმის გადაცემა კრების ერთი წევრისაგან მეორეზე არ შეიძლება. (განჩ. უწ. სინოდისა 30 ოქტომბრიდამ და 22 ნოემბრიდამ 1868 წ.).

§ 10) შემდეგ დეპუტატების მთელი რიცხვის არა ნაკლებ ორი მესამედის შეკრებისა, (განჩ. უწ. სინოდისა 7 მარტიდამ და 3 აპრილიდამ 1872 წ.), სამსახურით კველაზე უმფროსი მღვდელ-მოსამასურე, როგორც დროებითი თავს-მჯდომარე, ხსნის კრებას. თბილისში კრების გახსნამდე კველა დეპუტატებმა უნდა მიიღონ ლოცვა-კურთხევა საქართველოს ექსარხისისაგან.

§ 11) როცა კრება შესხრულებს საზოგადო ლოცვას, დროებითი თავს-მჯდომარე კრებისა იღებს დეპუტატებისაგან და ამოწმებს მათი აღრჩევის ოქმებს, და, შემდეგ მთელი საქმის შემოწმებისა, იწვევს დეპუტატებს, რომელნიც კანონიერად აღმორჩეულინ იქმნებიან, რომ მათ ამოირჩიონ კრების თავს-მჯდომარე და საქმის მწარმოებელი (განჩ. უწ. სინოდისა 13 და 20 დეკემბრიდამ 1887 წ.; 17 ივლისიდგან და 28 ივლისიდგან 1870 და 27 და 21 აგვისტოდგან 1873 წლისა).

§ 12) ალჩჩევა თავს-მჯდომარე და საქმის მწარმოებლისა უნდა მოხდეს დაფარული კენჭის ყრით (განჩ. უწ. სინოდისა 13 და 26 დეკემბრი დამ 1867 წ.) აღმართებიან, რომელთაც უმეტესი აღმართებითი ხმა ამოუკათ.

§ 13) თავს-მჯდომარე და საქმის მწარმოებელი თელავის და ზორის კრებისნი, ალჩჩევის უმაღლე შეუდგებიან თავინათი მოვალეაბის აღსრულებას. ხოლო თავს-მჯდომარე და საქმის მწარმოებელი თბილისის კრებისა, რომელიც მოქმედობს თბილის-ში—ექსარხოსის საცხრებელ აღგილს, მტკიცდებიან თან ამდებობაზე ექსარხოსისაგან.

§ 14) ვადა კრების მოქმედებისა, აგრეთვე თავს-მჯდომარისა და საქმის მწარმოებლისა ისახლებება კრების სხდომების დროით (გან. უწ. სინოდისა 8 მარტი და 3 აპრილი 1872 წ.).

§ 15) წევრებზე, რომელნიც არ დაესწრებიან კრებას არა პატივ-სადებ მიზეზთა გამო, კრება მოახსენებს მათზე საქართველოს ექსარხოსა და ისინი ისჯებიან ამისათვის ფულის გარდახდეენ ებით საქართველოს ექსარხოსის მიერ (განჩ. უწ. სინოდისა 13 20 დეკემბრი დამ 1867 წ.).

ის დეპუტატები, რომელნიც არ დაესწრებიან კრებას, ვალდებული არიან თავის დროზე წარმოადგინონ მიზეზთ თავის გამოუცხადებლობისა (განჩ. უწ. სინოდისა 12 და 20 დეკემბრი დამ 1867 წ.).

§ 16) კრებაზე ვალდებული არიან დაესწრენ სასწავლებლის სამმართველოს წევრნი, აღრჩეულნი სამღელელობისაგან (§ 31 წეს.), რომელნიც ერთის მხრით აძლევენ კრებას საჭირო ცნობას სასწავლებლის საქმის შესახებ, რასაც კრება საჭიროდ დაინახავს, რომ თავის მსჯელობის დროს იქმნიოს, ხოლო მეორეს მხრით წინადაუდებენ კრებასა თავინათ განცხადებათ სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ და ზომითა ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (20 წეს. სასულიერ. სასწავ.).

§ 17) კრების თავს-მჯდომარე ხელმძღვანელობს კრებას, იცავს გასახილებელად გადმოცემულ კითხვების რიგს, უკრს უგდებს, რათა მსჯელობანი სწარმოებლენ კანონიერად, ჰკრებს ხმებს და უცხადებს კრებას უმეტესობისაგან მიღებულ გარდაწყვეტილებათ. (21 წესდ.)

§ 18) კრებაზე მსჯელობა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ რუსულს ენაზე. არცეთი სხვა ენა, გარდა რუ-

სულისა, არ შეიძლება ხმარებულ იქნას კრების დროს, რადგან რუსული ენა არის სახელმწიფო ენა და რადგან მათან რიცხვთა შორის დეპუტატებისა, რომელნიც ვალდებული არიან იცადენ სახელმწიფო ენა, შეიძლება დაესწრონ ისეთი პირი, რომელთაც არც იციან და არც ვალდებული არიან იცადენ მხარის რომელიმე სხვა ენა.

§ 19) კრებამ უნდა განიხალოს მხოლოდ ის საგნები, რომელნიც მათ გადაეცემათ განსახილველად და არ უნდა შევიღონ ისეთი საქმეების განხილვაში, რომელნიც მათ არ შეეხებათ (ცირკ. უქ. უწ. სინოდისა 14 ივნისიდგან 1872 წ. № 39).

§ 20) კრებამ, რომ უური წესიერად წაიყვანოს საქმე, უნდა შეადგინოს სია იმ კითხებისა, რომელნიც მან უნდა განიხილოს. (ასეთი სიები თბილისში წარედგინება თავს-მჯდომარისაგან ექსარხოს) (განჩ. უწ. სინოდისა 13 და 20 დეკემბრი დამ 1867 წ.).

§ 21) იმ პირთ, რომელნიც კრების დროს ჩაიდენ რამე უწესებას, ანუ თავის ბეჭრი ლაპარაკით შეაჩერებენ კრებას, რომ მან თავის დროზე განიხილოს თავისი საგნები, და განსაკუთრებით მათ, რომელნიც კრებაზე აღძრავენ ლაპარაკს ისეთ კითხებზე, რომელნიც კრებას არ ექვემდებარებიან, თავს-მჯდომარე აჩერებს და სთხოეს მათ დაიცემა წესიერება.

§ 22) კრებისაგან განსახილებელ საგნებს შეადგინენ (22 წ წესდ.):

ა) გამონახეა ზომათა სასწავლებლის უკეთესად შესანახვად და დანიშვნა ამ მიზნით ერთ დროებით ანუ ყოველ წლიურ შეწირულებთა სასწავლებლის სასარგებლოდ, როგორც თავის საკუთარ საშუალებათაგან, აგრეთვე სხვა წყაროებიდგან.

ბ) გამონახეა ზომათა სასწავლებლის უკეთესად შესანახვად და დანიშვნა ამ მიზნით ერთ დროებით ანუ ყოველ წლიურ შეწირულებთა სასწავლებლის სასარგებლოდ, როგორც თავის საკუთარ საშუალებათაგან, აგრეთვე სხვა წყაროებიდგან.

გ) გამონახეა ზომათა სასწავლებლის უკეთესად შესანახვად და დანიშვნა ამ მიზნით ერთ დროებით ანუ ყოველ წლიურ შეწირულებთა სასწავლებლის სასარგებლოდ, როგორც თავის საკუთარ საშუალებათაგან, აგრეთვე სხვა წყაროებიდგან.

ა ნ უ ბ ე ბ ი

1883-1886

მწუების დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის თას, ლცს და თე-და-თ ჰიცხებული.

გ ა ზ ი თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი წლისა გაგზავნით დაგუაშჩაველად	5 მან.
ნახევარი წლის —	3 —
ნახევარი წლის „რუსული დამატებით	6 —
ნახევარი წლით	4 —
ცალტე რუსული დამატება წლით	3 —
ნახევარი წლით	2 —

განეთის ფულის და უოლი გადასახლების
გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ აღნიშვნით: *B* ჩ ჩე-
რის, *B* რედაქტიო „Mukemci“ (Пасмур).

უველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელიც
რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილი, დასაბჭიდავთ,
უთულ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთა გან
ხელ-მოწერილობა. ავტორთა გან გამოგზავნილი სტატიე-
ბი შეიძლება ხარ-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით
დაიხეჭდონ.

სტატია, რომელიც არ დაიხეჭდებან, სამი თვეს
განმავლობაში შეიძლება აგტორებს მათის ჩარჩით უვა-
ცვა დაესრუნოს.

სტატიები მიიღებან რუსულ ენაზე დაწერილიც
და თარგმნით დაიხეჭდებან.

ვისც ჯერეთ კიდევ „მწუების“ ს ხელ-
გოსწერი ფულები რე შემოუტანია, მორჩი-
ლებ გსთხოვთ, დაუჩეარონ მისი გამოგზავნა.

საერთო-სამართლო და სახალხო სკოლების
მფლობელობა დასავლეთ საქართველოში ისეთ
და მხლა.

სტატია მეფე: *)

სახალხო განათლების საქმის რიგითაც წაყვანა
ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგო-
ნიათ. დიდი მოფიქრება, დიდი გამჭრიახობა მართებს
კაცს, რომ ხალხის განათლების საქმე რიგითაც წაი-
ცვანოს.

რუსთში ისე საძნელო არ არის ეს საქმე, რო-
გოც ჩვენში, იქ სწავლება დედა-ენაზე მიღის და
ამისათვის ბავშვებისე არ უძნდება სწავლა, რო-
გოც ჩვენში, ჩვენში დევს თოვეს იქით მოსწავლეობა.

*) ი. მწუები № 28.

რუსულად უნდა დაიწყოს სწავლა უველა საგნებისა.
მოთხა და იმავე დროს რუსული ენაც უნდა ისწავ-
ლოს და საგნებიც. თუმცა ეს ძლიერ საადვილოდ
მიაჩნდათ ზოგიერთებს, მაგრამ შემცდარნი არიან.

მერობის დასავლეთ სახელმწიფოებში სასოფლო
სკოლის მასწავლებლებს უფრო მეტი ჯამაგირი აქვთ
დანიშნული, ვინემ საუკალო სასწავლებლების მა-
სწავლებლებს. მს ასც უნდა იყოს. პირველ-დაწერი-
თი სწავლება უფრო საძნელოდა სათავცემა, ვინემ
მაღალ კლასებში. მაგრამ ჩვენში ამას არ აქცევენ
უზრადლებას და ხალხის განათლების საქმეც ამიტომ
ასე მძიმედ მიღის.

იმ დროს მანც ცვენში სად მოიძებნებოდენ რი-
გიანი მასწავლებლები? მაშინ დელი მასწავლებლები
თოვების ყველანი სასულიერო სასწავლებლებიდამ
გამოსულნი იყვნენ; ზოგ მათგან მარტო მეო-
რე და მესამე კულასი ჰქონდა გათავებული.
ამისთანა მასწავლებლებისავარ, რამც კურიველი,
ხალხის განათლების საქმე დღის ნაბიჯით წინ არ
წაეიღოდა.

გაიარა კარგა ხანმა. ბაჟები პირველად ბლო-
მათ დადიოდნენ სკოლებში, მაგრამ ბოლოს დროს
იყლეს. მასწავლებლი მანც ცა-და-მანც ბევრს

სწორებინ, რომ შაგირდების რიცხვი თან-და-თან კლებულობდა. ჯამაგირს მამასახლისების წყალობით უკლებლად იღებდნენ, თუ ცოტაოდენს ამ ჯამაგირის ფულებს მათთაც გაუზიარებდნენ. შაგირდების სიარულმა სკოლაში თუმცა ძლიერ მოიკლო, მაგრამ სკოლის სიებში და ჟურნალებში კარგად მიღიოდა საქმე. ამ ჟურნალებში და სიებში შაგირდები ერთი განყოფილებიდამ მეორეში გადადიოდნენ და ზოგი მათგანი კურსაც ათავებდა, თუმცა სკოლაში თავის მამას პირველ წელს იქით აღარც კი გაუშევა. ინსაექტორებმაც დიალხანს ვერ გაუგეს ეს ზოგიერთ ოსტატ მასწავლებელს მეუფრისეთაგან სკოლის დახედვისდროს მასწავლებელნი თავს მართლულობდნენ მით, რომ იმ დღისათვის მშობლებმა შაგირდები არ გამოუშვეს სკოლაში, აღბათ საჭირო საქმეებისა გამოო... .

იტყვიაან ანდაზათ: „შუბს ტომარაში ვერ და-მალავო“. მს სისუსტე მასწავლებელთა თან-და-თან გამოაშკარავდა. გამოაშკარავდა მით, რომ თვითონ ხალხმა დაიწყო დრტვინვა მასწავლებლებზე; რომ ისინი ტყუილად ჯამაგირს იღებენ და შაგირდები კი არა ჰყავსთ სკოლაშით; ემდუროდნენ მასწავლებლებს, რომ ისინი ვერ ასწავლიან ჩვენ შვილებს, ტყუეილა მოვაკლინეთ ბავშვი ორი წელიწადი დარომ ჰყითხოთ რამე, არაფრი იციანო. მომდგარან, ბატონო, და ას-წავლიან ცხენს რამდენი ფეხმბი აქეს, კატას რამდენი კუდი აქეს, შინაური ცხველები რით იზრდებიან და ამისთანა უბრალო რამეს ასწავლიანო. ზღების სხვა რამეებსაც კიდევ უმატებდნენ და რაებს არ ამბობდნენ, ვინ მოსთვლის! სუსტ მასწავლებელთა დაიწყეს თავის გამართლება და ბრალი ამ სამწუხარო მოვლენისა სულ სხვა მიზეზებს დაბრალეს. უმთავრეს მიზეზათ სამრევლო სკოლების არსებობა მოჰყავდათ. დირექტორებიც დაარწმუნეს მათ უსაფუძლო თავის გამართლებაში. ამ ღროვიდგან სამრევლო სკოლებისათვის ცუდი დრო დადგა. დირექტორებმა მოინდობეს უველგან ამ სკოლების დახურვა გუბერნატორების დახმარებით.

მდ. დ. ლამბაშიძე.

შორაპნის მაზრიდამ.

დაბა საჩხერე სძეებს დაბა შეირილიდამ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით ორმოცდა ათს ვერსტრედ, ჭალის და რაჭის მთებშეუა. ამ დაბას დასტერების ზევიდამ მოღინახის ციხე, რომელიც აშენებულია დიდი პაპურა წერეთლისაგან. დაბას ჩამოუდის მარჯვენივ მდინარე შეირილა, რომელსაც შედევს რამდენიმე ვერსტის მანძილზედ მშვერიერი ჭალები. საჩხერეს უძვეს გარეშემო 30 სოფელი, რომლებიც მშვერიერი დასახახვა პატარა დაბიდამ აღვილის მდებარეობისაგამო. როგორც ჭალებში ისე სოფლებშიდაც მიწა მეტად ნოკიერია და მომცემი: რაც-კი დაითხება, ყველაფერი ღუცულად და ასეულად იქცევა. ჰაერი აქ მეტად ზომიერია და მჩხელი. საჩხერეში სკოლობს 20 კომლი თავადი წერეთლები და 200 ვაჭარი ტომით: მართველნი, სომეხნი და ებრაელნი. სოფლის აზნაურნი და გლეხნი უველანი მიწის მუშა ხალხნი არიან და ფრიად მშრომელნიცა.

საჩხერეში არის მომრიგებელი მოსამართლე, პოლიციის პრისტაცი, მომრიგებელი შუამდგრამელი, ექიმი და ბებია ქალი და ავათ-მყოფების მისაღები სახლი. ამ ორიოდე თვის წინად მუთაისის გუბერნიის საექიმო განყოფილების მართველიამ წინადადება მისცა საჩხერის საზოგადოებას, რომ სავალმყოფა სახლი ექირავებია საზოგადოებას და მიეცა შეშა სავალმყოფოსათვის, რომელზედაც უმეტესმა ნაწილმა საზოგადოებისამ სურეილი განაცხადა, მაგრამ საჩხერეში მცხოვრებმა ეკურებმა კი ცივი უარი განაცხადეს ამაზე და აშკარად მშობდენ: «ჩვენ არც ექიმი გვინდა და არც არაფრის გადავიზდითო.» მს მათის მხრით დიდი შეციონა არას: რომელი გონიერი-კაცი იტყება, რომ ავად-მყოფს ექიმი არ უნდოდეს; მაგრამ ეს ბრალი უნდა დავდოთ იმ მატყუარა ექიმებს, რომლებიც საჩხერის მცხოვრებთა შორის ბუდობენ, ვინაიდან მათის შეგონებით მოხდა ეს. ექიმის მოსვლით მათ დიდი შესავალი მოაკლდათ. თუ არაფრი შეიგონეს საჩხერის ვაჭრებმა, იმ შემთხვევაში მათ მხედვის გარდასახადს საზოგადოება გადიხდის და ისინი საზგადო ექიმით ვეღარ ისარგებლებენ. ბანა 40 კაპეიკისათვის უარს იტყვის გონიერი კაცი საზოგადო კეთილ საქმისათვის!

საჩერლებს არა აქვთ საზოგადო არც სკოლა და არც ყალებია. სხვა სოფლებში კი მშენიერი ქვიტკირის ყვლესიები და სკოლებია დამართული. რომ კითხვასაჩერლებს, თუ რათ ჩამორჩენია ივინის სხვას თვლის მცხოვრებლებს უკან, ამაზე თავადები გიპასუხებენ: „ჩენ შეძლება გვაქს, ამისთვის საჩერლები არც გაგვიზღია შეილები და არც გავწითო, ეკვლესია თვალეულს ჩენგანს საკუთარი სასახლის აქება,“ თუმცა ერთს გარდა არც ერთ სასახლის ეკვლესიაში კი არ იწირება. (*) ვაჭრები ამბობენ: „ჩენი ხელობა ვაჭრობა არის და ჩენ ხელობაზე უნდა გაეხარდოთ ჩენი შეილებიცა.“ სომხებს და ებრაელებს კი აქვს საჩერლები ეკვლესიები. საჩერლები 15-ის წლის წინათ დაიწყეს მშენიერ გეგმაზე ეკვლესია, აშენეს რამოდენიმე საჯენი კიდევ; მაგრამ განსვენებული თო. ნესტო, ალექსანდრე და მიხაილ წერეთლებას ერთი მეორესთან უთანმოებისავმო შეჩერდა ეკვლესის შენება და დღეს ამ ეკვლესის შენებაზე არა ვინა ფრჩობს.

მთ. წერეთლების ახალ გაზობაში ზოგნი უმაღლეს სასწავლებელში და ზოგნი საშუალოში სწავლა მიღებული არიან; ამიტომ ქსენი გონებით და ზედ გავლენა როგორც თავიანთ ნათესავებზე, აგრეთვე საჩერლის საზოგადოებაზე და აშენებით მათ გონების და ზედ გავლენა არიან, რომ მათ იქონიონ ზედ გავლენა როგორც თავიანთ ნათესავებზე, აგრეთვე საჩერლის საზოგადოებაზე და აშენებით მათ გონების და ზედ გავლენა ტაძარი—ეკვლესია და სკოლა.

მღვდელი ი. წერეთელი.

სენატის მიზანი და მიზანი

აბაშის რკინის გზის სადგური არის სენატის მაზრაში, სამტრედიას და ახალ-სენატს შუა, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ირგვლივ ბლობათ დასახლებული არიან მცხოვრებინი. ამ ჩამა ათი წლის წინეთ თანხ

*) ერთი გამოჩენილი თავადისათ ვიყაგოთ. ეზოში ამ თავადს სასახლის ქვითვირის ეკვლესია ჭერდა. მე მოვინდომე ამ ეკვლესის დახვედრა და აი რა მდგრადრებაში ვნახე ექვედულება: საქალებაში დადგლები იყო გამოჩევილი წიწილებით და ზოგი ჭრუხები კადევ ჭრუხებზე ასხდნენ. საკაცებოები ბზით იყო სავსე და კადევ სხვა რამები ეყარა შეგა!...

რედაქტორი.

დუქანს თუ ნახედით აბაშაში. დღეს კი აქ ორასამდის დუქანია, ვაჭრობაც არ არის ნაკლები. წელს თუმცა იყლო ვაჭრობაზ ფულის სიძეირისა გამო, მაგრამ მაინც ამას ამბობენ მოვაჭრები, რომ წელს ძუთაისში ვაჭრობას აქაური ვაჭრობა სჯობსო. რაც შეეხება სიმშენიერებს, აბაში არც ამაში ჩამოუდება ზოგიერთ დაბებს. მუჩები მთლად მოქვიშულია, ასე რომ რაც უნდა ტალაზი იყოს, იქ კაცს ვაგლახათ ფეხი არ გაესვრება. დამე ქუჩები განათებულია ფარნებით. უოველ ღამეს ყარაულები დგანან და მწყემსვენ დუქებს. მათთი სიტყვით ბაჟელები აღგანან ქალაქურის წესებს. მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს ამ ჩენ აბაშას: აქ ყველა ღუქები ხის არის; ამის გამო ქარიანობის ღრუს ღილი შიში ალიძრება ხოლმე მოვაჭრებში; ამისთანა დღეებში მუზმივ ღამის ყარაულებს მიემატებიან რიგ-რიგათ მოვაჭრენიც და ისე უგდებენ ყურს—ცეცხლა არსად გაჩნდესო. თუ ქარმა ღიღდ ხანს გასტანა, მაშინ ცოტა არ იყოს შევიწროებულ მდგომარეობაში ჩავარდებით ხოლმე, რადგან დეპუტატები (მოვაჭრეთაგან ამორჩეული პირები მათ წირისგანვე) ცეცხლის დანთების ნებას არ აღები მეოუკენ მეფურნებს და მეთორნებს.

გვაქს აფთერაც, სადაც პირიანათ იყიდება წამლები.

მოხელე პირთაგან გვეას აქ პილიცის პრისტავი ბ. აგალიანი, რომელიც ენერგიულად მოღვაწეობს მის საპრისტაოში მცხოვრებთ კეთილ დღეობისათების. დავიწყოთ თუნდა იქიდგან, რომ მთელს მის საპრისტაოში სოფლებისთვის უსაჭიროესი გზები მოქვიშულია, რომლის წყალობით მცხოვრებთ კალიან გააღილებული აქვთ ურთი-ერთ შორის მისელა-მოსვლა. ხიდები ყველგან რიგიანი არიან. ბ. აგალიანის მეცადინეობით დარსდა აბაში ში შარბაზლილიდგან იარმუკა. რომელიც იწყება პირველ სკოლებიდამ და გრძელდება შვიდამდის. იარმუკაზე, როგორც გვიჩვენა ამ ორმა წელმა, მრავალი ხიდი იკრიბება და რიგიანი ვაჭრობაც არის. მიღდია, ხილი იკრიბება და რიგიანი ვაჭრობაც არის. მისელა-მოსვლა აქ ვაჭრობა კადევ უფრო გაუმჯობესდება.

დღემდეს თითქმის ყველა საზოგადოებანი მის საპრისტაოში ხეირიანად არ იყო დაწყობილი: გლესას და სამეტების ნაწილს თავის კანცელარიაში მისელა, ხების უმეტეს ნაწილს თავის კანცელარიაში მისელა, მეორე საზოგადოების კანცელარიაში მისელა უფრო დადგილებოდათ. ამისავე მიზეზით საზოგადოების წევრნი ხეირიანად ვერ სარგებლობდენ მათგანვე და-

არსებული ერთ კლასიან შეკოლითაც. შარმოიდგინეთ, რომ ყმაწვილს უნდა გაევლო სხვა საზოგადოების სკოლასთან და შემდეგ თავის სკოლაში მისვლამდის უნდა გაევლო კიდევ ხუთი ექვსი ვერსტი. მას ძალიან უძნელებდა ბავშვებს სკოლაში სიარულს. მაგრამ წრეულს ბ. ავალიანის დადი ხნის მეცადინებაში შეძლევ, ამ დაბრკოლებასაც ბოლო მოელო: რომელ სოფელსაც რომელი საზოგადოებაც ეახლოვებოდა, როდება, რომ საზოგადოებაში ჩაირჩინდა თუ არ იყო.

რაც შეეხება განათლების საქმეს, ამაშიდაც ბ. ავალიანის ყურადღება და მზრუნველობა სწორეთ რომ საქებარია. არ არის მის საპრისტაო ში საზოგადოება, რომელშიდაც სოფლის პირველ დაწყებითი ერთ კლასიანი სკოლა არ იყოს. შველგან მასწავლებლებს ჯამაგირათ ეძლევათ სამას-სამასი მანეთი; სკოლების შენება ყველგან შესაფერია, გარდა ჯამაგირისა მასწავლებლებს ეძლევათ შეშა და მოსამსახურე. შველა მასწავლებლები იღებენ მათდამი კუთვნილ ჯამაგირს ხაზნიდგან; ამის გამო მასწავლებელთ აღარ ჭირდებათ მამასახლისების წინაშე ვეღრება ჯამაგირის მოკრებაზე.

ერთი ამგარი პირველ დაწყებითი სკოლა იყო წრევანდლამდის აბაშიაც, რომელიც იწოდებოდა ქვათანის ერთ კლასიან სასწავლებლად. წელს, რადგან საზოგადოებანი წესიერად დაწყო მეათანის საზოგადოებას შუა ადგილს დაურჩა სკოლა და ეს საზოგადოება კოტა კიდეც გადიდლა. ამიტომ სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვმა იმატა, ასე რომ წელს სულ მთხოვნელები იყო ოთხმოცდა ხუთი. ამ გარემოებამ გვაფექტებინა გამოვევებადებია საზოგადოებისათვის, რათა მას გაეხსნა ერთ კლასიანი სკოლის მაგივრათ ორ კლასიანი სკოლა. რასაკვირველია პირ და პირ ამის გამოცხადება საზოგადოებისათვის ძნელი იყო. თუ საზოგადოებას კარგად არ გააგებინეთ მინშვნელობა რომელიმე საგნისა, ისე ძნელია, რომ საზოგადოებამ რამე კეთილი მოინდომოს იმ საგნისათვის. პი, სწორეთ ეგრეთი ჩამონებელნი პირნი გამოაჩნდნენ ბ. ავალიანი და მასთან ამავე სკოლის მზრუნველი, მღვდელი გ. ცომაია. მათი მეცადინეობის წყალობით გაიხსნა აქ ორ კლასიანი სასწავლებელი წარსულს 14 ეკუნისთვეს.

საზოგადოებამ ერთ ხმით დაადგინა შემდეგი განაჩენი: „დაარსდეს აქ ორ კლასიანი სასწავლებელი, დაენიშნოს პირველ მასწავლებელს 400 მანეთი, მის თანაშემწეს 300 მანეთი, მოსამსახურეს 80 მანეთი

და ეს უშლი იგზავნოს ჩეენგან მახლობელ, სენაკის სახელმწიფო ხაზინაში სხვა სახელმწიფო გარდასახადთან ერთად. აშენდეს რიგიანი შენობა ორ კლასიან სასწავლებლისათვის და მოვიწოდოთ მეორე მასწავლებელი დღეს რიცხვიდგანვე“. საზოგადოებამ შეადგინა ეგრეთი განაჩენი და გაგზავნა დასამტკიცებლად, სა-დაც ჯერ იყო. ამისთანა განაჩენის შედგენისათვის საზოგადოება კოტა არ იყო გაამზნება შუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის ბ. ლევიცკის დანა-პირებმა შემწეობამაც; ბ. ლევიცკი შეკვირდა საზოგა-დოებას, რომ თუ ისინი დაარსებენ ორ კლასიან სას-წავლებელს, იმ შემთხვევაში ის გამოითხოვს ვისგანაც ჯერ არას მათ შესაწევნად 300 მანეთამდის კლასები-სათვის საჭირო ნივთების მოსაპოებელად.

შოველივე ეს სწორეთ რომ მოსაწონია და სა-სარგებლო საქმე მისალოცავია შეათანის საზოგადოე-ბისათვის, რომელიც თავის მხრით დიდ მადლობას სწირავს პოლიციის ბოქაულს ბ. ავალიანს რომელიც მისღამი რწმუნებულის საზოგადოებისათვის არასფერს არ ზოგადს.

მადლობას ვსწირავ აგრეთვე იმავე სკოლის მზრუნ-ველს მღ. გრიგორ ცომაიას და სენაკის მაზრის უფ-როსს ბ. ბებურიშვილს, რომელიც დღეს დიდ უურად-ლებას აქცევს და შემდეგშიაც პარლება რწმუნებულს ჩემდამო სასწავლებელს. *)

მმართველი ქვ. ლო კლასიანი სასწავლებლი- ა. ტუმანაძე

ნიმუში კიბე და მიმდინარეობა

*) ნეტავი ეს პოლიციის პოქაული ჩეენ დაპა ყვირილა-ში იყოს! დაბა ყვირილაში ასე ათასი მანეთობით ფული იხარ-ჯება თვეში, ვაჭრობა მშვენიერად მიდის, ვაჭრებიც მდიდარდები-ან. სამ მილიონ ნახევარი ფუთი ქვა-გუნდი გადის წელიწად-ში სამზღვარს გარეთ. დაბასაც კარგა უული აქვს, მაგრამ ხი-დის შეეტემა ერთ მოქადინებით უვირილაში და აქთ ვრცელ დაბაში ერთი ფარანი კერძაუნითათ. ჩეენ დაარწმუნებული გართ, რომ მ. ავალიანისთანა პოლიციის პრისტავი უოველივე ამას ადგილად მოხერხებდა!

რედაკტორი.

ჭარილი რედაქტორთან!

გ. რ. „მწყების“ № 26 მე წარიცხო წერილი პერევესის სოფლის მასწავლებლის გ. მგ. ვარულავასი შესახებ ტეხისის ჯვარისა. გ. ვარულავა იწერება, რომ ჯვარის წლიური შემოსავალი 10-30 უნდა იქნეს და როგორ, ესიც ჯერ არს, უურადლება მაქტიოს ამ შემოსავალსო. რაღაც ეს ტეხისის ჯვარი ჩემს საბლალოჩინოშია, ამისათვის ვალდებული ვარ ვიცოდე, თუ რამდენი შემოლის მლოცველებისაგან ამ ჯვარს და ანუ სად მიდის ეს შემოსავალი. ამ ადგილს მე ჯერავანი უურადლება მიეკუირ საბლალოჩინოს ჩაბარებისათანავე. ტეხისის ჯვარის შემოსავალი წელიწადში 10-15 მან. ნაკლები არასოდეს არ არის. მს შემოსავალი მიდის სოფლის წმიდის ზიორგის ეკვლესის სა-სარგებლობდ. ამ ეკვლესის კრებული ვალდებულია, რომ უურელს ტეხისის დღესასწაულობაზე დთვალ უური ადევნოს შემოსავალსა. ჯვარის შემოსავალი ადის დღეს ას მანეთამდე. ამ უულებილგან დახარჯულია 70 გ. საკულესიო ნიკორების და წიგნების მოსაპოვებლად. მს შემოვიდა მას აქეთ, რაც მე ბლალოჩინათ ვარ და წინეთ რა შემოდიოდა ამ ჯვარს და ან სად მიღიოდა ეს შემოსავალი, ამავე არაფერი არ ვიცი. *)

— — — — —

ბლალოჩინი, მდ. ი. წერეთელი.

*) დიდად სამწუხარო არის, რომ უულა ქელ ჩევულებას უუსპობთ ხალხს და ახალსაც არას ვაძლევთ. ჩევნ ვაცო ერთი ადგილი ურავის მაზრაში, ერთ მთა ადგილს, რომელსაც განვითარების მთას ექარან. ამ მთაზე უწინ ეკბლესია უოფილა და ჭაროს წმიდის გორგის ხატი სკვერებულა ა. დღეს გარდა ეკბლესის კედლების ნანგრევებისა არასფერი არის ამ ადგილზე. ახლა გაიგეთ, თუ რამდენი შეწირულება მისდის ამ ნამდევნების ხალხისაგან. დღეს ამ ნანგრევ ეკბლესიზე შეწირული უული შენახულია პანკში 4000 გ. და ის კი ვერ მოვინერებია, რომ ამ ადგილას ერთ პატარა ჩის ეკბლესია გავაკეთო და ხალხს გული არ აუცრუო ამისთანა კუთხილ ჩვეულებაზე. ნიადაგ ვჩივით ჩევნი ეკბლესიების ხილარიზე და ჩევნ კი ვართ თვითონ ამში დამნაშვერი. ს იური რეზო რეზაქტორი.

ს ა ი ს ტ რ ი ი რ ა მ ა ს ა ლ ა .

კახკრანგ მეფის საფლავზე ა დაწერალია შემდეგი ლექსი: გ ა რ ე ბ რ ე ბ უ ლ ა დ , მ ე უ მ უ რ ი რ ე ს მ ა მ ა თ ა გ ა ნ , ვ ა პ ტ ა ნ გ მ ა ნ ს ა ხ ე ლ - დ ე ბ უ ლ ა დ , ვ პ ტ მ ე ნ რ ო თ ა , უ რ ბ ა ნ ი ს ი , ს ა ლ გ უ რ კ ა რ ა გ ბ უ ლ ა დ , მ უ რ ი ლ ი ს ს ი ღ ა ნ ი ხ ე ლ - ა ხ ლ ა შ ე ვ დ ე რ წ ე კ ა ნ დ ა კ ე ბ უ ლ ა დ . დ ა ჩ ე მ თ ვ ი ს ც ა ს ა ხ ლ ი ს ს ა რ ი ს ა , შ ი ვ ლ ხ ი ნ ი მ ი ლ წ ა ნ ე ბ უ ლ ა დ .

ს ტ ა მ ბ ა მ ო ვ ი ლ ე ვ ლ ა ხ ე ტ ი თ , ვ ა მ რ ა ვ ლ ე წ ი გ ნ თ ა მ ე ლ ა ნ ი . მ ც ი ი ს რ უ ხ უ ნ ა ნ ს წ ა ვ ი ლ ე , გ ა ლ მ ი თ ა დ მ ო ვ რ წ ყ ე ვ ე ლ ა ნ ი , ძ ა შ ა ვ რ ი ს რ უ ხ უ ნ მ ტ ა ს შ ე ვ რ თ ე , შ ი ვ თ ვ ე ზ ი ჩ ა ე ს ხ ი კ უ ლ ა ნ ი , დ ა ე ს ე მ თ ა მ ო ვ ი ნ ა დ ი რ ე , ვ ხ ო ც ე ი რ ე მ ი ძ ე ლ ა ნ ი . ს ა მ ა რ ა თ ლ ი ს წ ი გ ნ ი ლ ა ნ ი , მ ს ა ჯ უ ლ ს ა რ უ ნ დ ა ც ი ლ ე ბ ა , ვ ე ფ ხ ე ი ს ტ ყ ა მ ა ს ი ს თ ა რ გ ნ ი ა ბ ა , ს ხ ვ ა წ ე რ ი ლ თ ა ... ა რ ვ ს თ ქ ვ ა ც ი ლ ე ბ ა , დ ა ბ ი ლ ი ს მ ი მ ი ლ ი ს ს ი ღ ე ლ მ ა ნ ს ი მ დ ი დ რ ე მ ე ფ ე თ შ ე ი ლ ი ა ბ ა .

ნ ა ხ ა ს ს ი ღ ე ლ ს , ნ უ ზ დ ა ს ა უ დ ა ზ ე ბ ა დ ა წ ე რ ი რ ი ლ ი ლ ე ბ ი ს : ჩ ე ვ ნ ვ ი ყ ა ვ ი თ ც ხ რ ა ნ ი ძ მ ა ნ ი ; ჩ ა რ ჯ ი ა ნ ი ძ ე ბ ი ს — ჰ ა რ ჩ ი ა ნ ი , რ ს ბ ა კ ა რ ი , დ ა კ ი თ ს ი ს ლ ა ნ , ო თ ხ ს ა მ ე ფ ი თ მ ე ბ რ ი ლ ა ნ ი . ფ ი დ ა რ ი ს , ჰ ა რ ა რ ი ს , ს ა ყ უ რ დ ა ბ ი ღ რ ა ი მ ტ ე რ თ ა რ ი ს ს ფ ი თ შ ე მ ხ ე ლ დ ა რ ი ნ . ჩ ე ვ ნ ი ძ მ ა ნ ი ი ს ა კ , რ ი მ ა ნ ი ღ ა ზ დ ა ბ ა ს ი ლ ი ლ ი ი ქ მ ნ ე ნ მ ე ნ ი ძ მ ი ს ტ ე ს კ ა რ ი ღ ა ზ დ ა ბ ა ნ ი . ჩ ე ვ ნ ზ ე ტ ი რ ა ე ს მ ი მ ა ვ ა ლ თ ა - მ ი მ ა ვ ა ლ თ ა თ ხ ი ს კ უ თ ხ ი ს ვ ი წ ი რ ა ვ გ ზ ა ნ ი , ძ ა ს ა რ ჩ ე დ ს ი მ ა ვ რ ე მ ა ქ ე ს დ ა ს ა ბ ა ვ რ ა კ ე ს ა კ მ ი კ ი რ ა ვ ა ს ი დ ი ს კ ა რ ი . ს ა ი ქ ი ი ს მ ი მ ე დ ე ფ ე , ს ა ქ ა ი ს კ ა რ გ ა მ დ გ ა რ ი . რ კ ე რ ი ს ა დ ა ვ რ ც ხ ლ ი ს მ ი წ ა ა მ დ ე ნ ი ძ მ ა ქ ე ს , ვ ი თ ა წ ე ა ლ ი .

ქავების და გაუმჯობელი, თანხ სამეცნიერო გაუმჯობელი. მართველს ბატონს და მოესტუკე, არ დაუგდე ჩემი გვარი.

მამწვდი, ფრცით მიღალატა, მან დაიდგა ჩემი ბრალი. ბაყათარ წყალია მიეკა, ალიხურა უსთა ჯარი, ვინც ეს ლექსი იხილოთ, მცირეთ ბანეთ შენ- ღობან.

ფიცი თუშთა, სკოსურთა და ფშევთა, უმასას ზედა რესპ- თის სელმწიფის ადგენი მისე მისა. ჩენზ-სა წელსა.

დიდო და ყოვლის მშენობელო ბატონი, დიდო შეფეხ და ყოველთ ქრისტიანეთ ხელმწიფები ალექ- სი მიხეილის შეილო! თვითმცყრობელო! შენის ბრძანებითა ჩეენს დედოფალსა და ბატონის შეილსა კაცი ებოძა, და ჩეენი ქვეყნის ცაცი დაებარებინა, რომე ჩეენც ამ დიდს ხელმწიფის ხელთა ეართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო აწე... ხელმწიფები! ჩეენი ხელმწი- ფებ თქვენი არის, და ჩეენც თუშეთის და ხელურუ- თის და ფშაველის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთ- მანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ხეეის ბერი: სოსზამე მაქსიმიჩ, ზრიგოლ სოლორიჩ და ჰავლე ივანიჩ, და შენი ყმანი შევენილ- ვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვე- ნი ბრძანება იქმნება, ჩეენ ამისი მქმენი ვართ: ჩეენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თემიუ- რაზ. ჩეენ მაგარ ალაგას ვართ და არას კაცს შევე- პოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყენი გერძეის და ჩეენ არც შემოგვიშვია შენის კაცი და საღაც მოგვიხელებია, მოგვიკლამს და მისი სარდარი გავეიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტნა: აწე, დიდო ხელმწიფები, ჩეენი ხელმწიფე უენმა წაახდინა, და ზურგი ალარ საღით გვქონდა და მღვთისაგან ველო- დებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვილიყო: აწე მოგვიგილა შენი ბრძანებაცა და ჩეენი დედოფლის კაციცა და თქვენი ბრძანება გაგვითა- ვებია, და შენ შემოგვხევერწნივათ, და შენთვის თავი დაგვიკრავს, გვიშასხურე და გვალაშქრე, ამ დღეებით შენი ყმანი შევენილვართ.

ზენილი გამოიყენეთ მეცნიერება

საქართველოს ქათალიგოზ ნიკოლაზის რესერვ- ში რეზიდენცია ითავისუბოდში მიწერილი წევზ-სა წელსა. მან რომლისა მიერ იქმნეს ყოველნი დაბადე- ბული ხელული და უხილავი, რომელი იყრიბის და მართავს, ცათა და ქვეყანასა, ხელულთა და უხი- ლავთა, რომელმან დაუდგა ზღვასა წესი, რათა არა- გადახდეს საზღვარსა თვისა, რომლისა ბრძანებითა შეიძერინ მთანი მაღალი და საფუძველი ქვეყანი- სანი, რომლისა ბრძანებით შეიძურინ მთანი მაღალ- ი და საფუძველი ქვეყნისანი, რომლისა ბრძანებით ნათობს შეე დღისით და ღამე შუექმენის მთვარე, რომელსა შიშით და ბრწოლით აქებენ ანგელოზი და მთავარ-ანგელოზი დიდება, მაღლი და თაყვანის ცემა მამასა უშობელსა, ძესა მამისაგან მხოლოდ შობილსა და სულსა მამისაგან გამოსრულ განგებუ- ლებასა მისა, მის მიერ მქუმებად პირმეტუელთა გამორჩეულო, მეათ-ცამეტო მოციქულო, და მეხუთე მახარებელო, იცსო მრისტეს მიერ, ვითარცა ძხა უფლისა იაკობ მის შეგასად კურთხევის მიმღებელო, ბასოლის კესარიელისაგბრ უმანკოდ მქუმებო, იოანე ღერიპირისამებრ სიმართლის მთქმელო, ზრიგოლი ღეთის მეტუელისებრ, ღეთის მიერ საკუთრად გა- მორჩეულო, ნიკოლოზ მირონ ქალაქისებრ უბრა- ლოთა სიკედილისა დამხსნელო, მრისტეს რჯულის დამამტკიცებელ დამამყარებელო, მონასტერთა და ეკკლესიათა შემკობით განმაშვენებელო, ხატთა და ჯვართა ურიცხეთა სურეილით შემამკობელო, გლა- ხაკა და უბოვართა დიდო სომიდიღრეო, მეორე პავ- ლე ქადაგო ჭეშმარიტებისაო. შენ სვეტო შეუტეველი სიმტკიცისაო, მშგავსად ნაშობთა უმეტესისა მქადაგებელო სიანულისა ყოველთ ქრისტიანეთაგან საქებელ საღიდებელო, მშენ ღიდისა და ცოტასი და თეთრის რუსეთის და ყოვლის ჩრდილოეთისა მწყემსო, კეთილო, რომელისა მგელნი ბოროტნი განრენენიან შენ წმინდაო და პატიოსანო, შენ ნერგო უვაეილ გარდაფენილო, შენ წყაროო მაღინებელო წყლისა ცხოველისაო, შენ სანთოლო დაუშრეტელო, რომელი ნათობ ერსა დიდსა და ცოტასა, თეთრსა რუსეთისასა და ყოვლის ჩრდილოეთისასა, შენ რო- მელისა პატიო-გცემენ ღიდის მეფენი, ღიდის ხელმწი- ფენი, ღიდი კნიაზი, ივანე პლექსის შეილი, პეტრე პლექსის შეილი და სულა ღიდისა და ცოტასი და

თეთრისა აღმოსავლეთისა, დასაცლეთისა და ჩრდილო-ეთისა, მამით პაპალ-მდე თვით მპრობელო ხელმწიფეთ ტახტსა ქვეყნისა და საბატონოს განმანათლებელო, უფალო, პატრიარქი, ბატონი იუსტიმ, დიდის სა-ქართველოს მაკურათხეველი, მართლისა, პახეთისა, სამცხისა-საათაბეგოსა შწყემსთ და საჭეთ მცყრობელი, დედა-ქალაქისა მცხეთისა, რომელსა შინა მცვიდჩ არს კვართი უფლისა ჩვენისა იქსო მრისტესი და ხალენი ელისი, კათოლიკოზი ნიკოლოზ სურიელით და სიყვა-რულით მოგიყითხამ, შენ კაცო ზეცისაო და ანგელოზო ქვეყანისაო, საღვრო და სავანეო სულისა წმიდისაო. დედისაგან შეუცარებულო და მის მიერვე გამორჩეულო: ლოცვა თქვენ მიერი და კურთხევა იყოს ჩვენ ზედა და ჩვენ მიერ მოწლედ ამბორება ურთიერთ არს და მარჯვენასა ზედა შემთხვევის ნეტარება მოვეისე-ნებია: მერმე, ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ქრისტიანენი და საყდარნი და მონასტერნი დიალ—ძალ დამართებულნი შეიქმნენ უსჯულოთა აგარიანთა ხელისაგან და მრავალი უწესური და აერ საქმე მოინდომეს საქ-ნელად. ამოდენი აერ საქმე ჩვენის სჯულისა, კერ დაითმინა და არც ამათ უსჯულოს ბრძანებას დამო-ნა და მომართა დიდსა მეფესა, დიდ კნიაზსა თედო-რე ალექსის შეილსა დიდისა და ცოტას, თეთრის რუსეთის მამით პაპით მცყრობელისა, და მისი წილიდის იმედითა და ზურგით წამოვიდა ბატონი მეფე არჩილ ვახტანგის შეილი შექრეთისა და მახეთისა, ხელმწი-ფე მეტოდორე ალექსის შეილს სოფელმან აღარ დააცალა და მეუფემ სასუფეველში მისცალა. აწე, რაღაც იმისივე ბრძანება და იმედი ჰქონდა და დაებარებინა, მომართა თქვენს დიდს ხელმწიფეთ, დიდს მეფეთ, დიდს კნიაზთ, ივანე ალექსის შეილს, პეტრე ალექსის შეილს და სრულიად დიდისა და ცოტასი და თეთრის რუსეთის მამით-პაპით მცყრ-ბელთა: აწე, მოვიდა და მობრძანდა თქვენგან კურთხეულსა და თქვენის მადლით კეთილად დამწყსულს, თქვენის მაღალთ ხელმწიფეთ ტახტსა და საბატონოზე და რომელიც თქვენს ანგელოზთ მიმსგავსებულს თაეს და თქვენს პატიოსნებასა და ლირსებასა ეკადრების პატიოით შეწყნარება და ნუგე-შის-ცემა გიქნიათ. მაგაზე, კერ ლმერთი დაგიმად-ლებსთ, რომე უსჯულოთაგან ძალ-დამართებული ხელმწიფე არის მეტეთისა და მახეთისა, მართლ-მადლიდებელი მეფე ბატონი არჩილ ვახტანგის შეილი, შემწე ეყავ, ვითარცა შემწე ეყო უფალი იაკობს უკანებასა შინა, შემწე ეყავ ვითარცა დამბადებელი

დავითს მოლიათსა ზედა, შემწე ეყავ, ვითარცა უფალი ჩვენი იქსო მრისტე თავსა მოციქულთასა პეტ-რეს, რომელი არა დაუტევა ბრალთაგან დანოქმად: სოლომონ ბრძანებს „ბრძენთა ერთი სიტყვა ხმა არსო. აწე, ჩვენ მრავალ სიტყვით ამას გევედრებით და გეხვეწებით, რომელიც სჯულდეს და მრისტიანობას მოუხდებოდეს, იმისთანა მამა-შეილური საქმე მოუხ-დინეთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანა და ქრისტიანობა, მონასტერი და საყდარი, ხატი, ჯვარი, უსჯულოთ აგარიანთაგან დასატაცები და წასახდენი არ შეიქმნას; შენს მეუფესა დამადლე და შენის პატიოსნებისა და ლირსებისა მსგავსი საქმე მოუხდინე, რომ ამისაგან უფრო ჩვენს ქვეყანას უსჯულომ ძალი და ავი საქმე არ გვიყოს და სჯული არ დაგვიკინიონ: თავად ეგ მართლ-მადლიდებელი მეფე, ბატონი პატიოლ ვახტანგის შეილი, თქვენის მადლის მონდობილი და ოქენი სულიერი შეილი არის და მერმე მართლ-მარტინ-ნე და მართლ-მადლიდებელი მეფე ბატონი ზიონი ვახტანგის შეილი, ბატონი მართლლისა, ბატონი ლორესა და სომხეთისა: თქვენ იცით და თქვენმა დიდმა პატიოსანმა თავშა, რასაც მაგასა და ამაზედ და მაგის ქვეყნებსა და ამას ქვეყნებს ქრისტიანობას სჯულს ზურგსა და იმედს მისცემ და ამისაგან უფრო ამთონი ქრისტიანის გაურ-ჯულებასა და დაკარგვას მოარჩენთ და დაიხსნით: სხევას ჩვენს სიტყვას არქიმანდრიტს, პაპა ლავრენტი მოგახსენებს, მეუფეო: ადამს აქეთ, შეიღი ათ-ა-ოთხ-მოც და თუთხმეტსა, თოვესა იელისს იე. კათო-ლიკოზი ნიკოლაოზ.

თ ქ რ თ ს გ უ ლ ი.

(მთხოვთა რესულიდგან).

(გაგრძელება *).

IV.

გამოძიება ჩემი საქმისა, რაღაც დიდი დანა-შაულობა მმრალდებოდა, მინდობილ იქმნა თეოთ არქიელისადმი. ჩემი სიკედილის დღემდის არ დაფი-

*) ას. „მწევმსი“ № 29.

ვიწყებ, რომ დმეტოს არ შევევეღრო იმ მართლ და გონიერ კაცის სულისათვის. მიუდღომელად განარჩინა ჩემი საქმე და დაწერა: „ვანუქადეთ მღვდელს დერისს, რომ მას ნიადა უნდა ახსოვდეს მრისტეს მცნებანი, რომელიც მისცა თვას მაწუებს საქალა გებლად წასელის ღრის: „უავით გონერნი, როგორც გევლნი და უმანკონი, როგორც მჭრედნი. მებატონერულებულებულების გამოუცხადეთ, რომ მამა მღვდლის დენისის მოქმედებაში და ქადაგებაშიდაც, როგორც სჩანს გამოძიებისაგან, არაფერი მართებლობის სალალარო არ მოიძებნებარა.“

ოთხი თოვე გაგრძელდა ჩემი საქმე; ამ ღრის განმავალობაში მე სულით ვიტანჯებოდი. ბევრს, ძლიერ ბევრს ლაპარაკობდნენ ჩემზედ, რით და როგორ არ მაშინებლნენ: მონასტრერში გაგზავნანო, ციხეში ჩაგდებენ, ან და მღვდლობას მაინც ჩამაგანთმევენ!... მე ვიტანჯოდი ლოდინით და უდანაშაულობის გრძნობით, ცოლი კი სულ ტიროდა და მაყვედრიდა იმ ქადაგების წარმოთქმას; ამას გარდა კიდევ უფრო ის მაწუხებდა, რომ არც ჰური მქონდა საჭმელი და არც შემოსავალი იყო მრველიღდან. ზავიდა ამ ნაირად ერთი ჩამთარი ჩემი სამსახურის ღრისისა. დადგა გაზაფხული, უნდა დავთესო ყანები, კიშლენო საღმე სათესლე და დაეხნა მიწები. მაგრამ დმეტოთი დიდი მოწყალეა, ქვეყანაზე კეთილი კაცებიც ბევრი მოიპოვება. ვიშოვნე სათესლე ჩა ხალხისაგან და კიდევაც დამიხნეს და დამითესეს მინდები. შრომაში დრო ძლიერ ჩარჩა მირჩოდა. ამ ღრის ცნობაც მივიღე ჩემი საქმის გათავებაზე არქიელის ზედ წარწერით; მე კარა გაემჩირულდი.

შუა შაფუხულში პეტრე-პავლობის შემდეგ უცებ მიეღი ადგილობრივ ბლაღოჩინისაგან ცნობა, რომ-ლითაც მაცნობებდა, რომ მღვდელ-მთავარი მობრძანდება ჩეენს შეზრაში და 8 ივლისს დღილით ჩემი სოფელში უნდა მობრძანდეს და წირეა მოისმინოს. მივიღე თუ არა ცნობა მღვდელ-მთავრის მოსქლაზე, დაუწყეთ ეკულესის წმენდა, ფანჯრებს და იატაკს ხეზა და წმენდა, როგორც საზოგადოდ მიღებულია მღვდელთ-მთავრის მობრძანების ღრის. არ შემიძლია ესთქვა, რომ უშიშრათ მოვექლოდი ყოველად-სამღვდელოს მობრძანებას მეთქი; მართალი უნდა ესთქვა, გული ცოტა არ იყოს მაცემდა, მაგრამ მე უმეტესად მაწუხებდა და მტანჯადა არამც თუ სამსახურში შეცდომის პოვნა მღვდელთ-მთავრისაგან, არამედ ჩემი

ვარდა ყოველთვის, რომ მღვდლების ოჯახები წმინდათ და რიგიანათ ყოფილიყენენ მოწყობილნი, რის თვისაც გვი ყოველთვის რევიზიის ღრის თვითეული მღვდელის ოჯახს ათვალიერებდა. მს მღვდლებმა კარგათ იცოდნენ, და როდესაც შეიტყობლნენ ყოველად სამღვდლოს მობრძანებას, იმწმისვე აფრენდნენ ბაკებს მებატონეებთან და მათის ოჯახის ავეჯეულებით მოაწყობდნენ თავ-თავიანთ ღარიბ ღარიბ და ისე ზე-ეგებებოდნენ მღვდელ-მთავარს. მე, რაღაც ერთჯერეუ მებატონესთან უსიამოვნება მომიხდა, არ შემეძლო შემდევში რამე მეოხოებისთვის და ამ მიზეზით ჩემთვის საიდუმლოთ უსწუხდი, და ცოლი კი ნიადაგ მაყვედრიდა, რომ ერ შევეგუე აქაურ მებატონეებს. ძლიერ ქსწუხდი, მაგრამ ყველაფერი ავიტონე და ყოველად სამღვდელოს მობრძანება-საც მოვესწარი. შოვლად სამღვდელოს მობრძანების წინა დღეებში მთელი ჩემი სოფელი გაისხო სხვა-დასხვა სოფლებიდან მოსული ხალხით, რომელიც მუკიდა ყოველად სამღვდელოს მობრძანების საყრებლად; ამის გამო ჩემ სოფლს რაღაც საღლესწაულო ფერი დადგა. მებატონეს ეზოში ერთი ფაციუუცი იყო. მტყობოდა, რომ იქაც ემხალებოდნენ ყოველად სამღვდელოს მისაღებად. მე მთელი ღამე არ დამინებია და როგორც ამოვიდა დილის ცისკარი წავედო ეკულესაში. ღოთხ საათზე დავიწყე ცისკარი, და შეიდ საათზე კიდევაც მოენდა მღვდელმთავრის კრებული: მგალობელნი, მთავარ ღიაკონნი და სხვნი. ჩემი მღვდელ-მთავარს მოსწონდა მედიდურობა. მს მარტო თავის დღეში არ წაბრძანდებოდა ეპარქიაში, ყოველთვის გარემოული ცუარებელი კრებულთ.. მხლანდელ ღრიში ცისკონგებს კიდევაც ავედრიან ბევრი კრებულის წაცვანისათვის, მაგრამ უწინდელ ღრიში ამას სრულიად სხვა ნაირად უყურებლენენ და მეც სულ სხვა აზრისა გარ. მერვე საათის ნახევარზე და მე უბრძანე წირვასათვის დარეკა. შეფასრულე პირველი ნაწილი წირვისა და რეა საათზე და მოადგა ეკულესის ექვსი ცხენით კარეტა, რომ-ლიდგანაც გადმობრძანდა ყოველად სამღვდელო და წამობრძანდა ეკულესისკენ. მე აიაზმის წყლით და ჯვრით ხელში შევეგებე ეკულესის კარებში. შემდეგ ჩემმა ცოლმა მიამზო, რომიმდებრის ისე გავთეთრე-ბულიკავ, როგორც ქალალი, მაგრამ მღვდელ-მსახურება ცველაფერი რიგიანად შევასრულე. როდესაც წმ. ჭიარების მიღებამდის მივეღი ყოველად-სამღვდელობან და თორავ არამარტობის მოითხოვდა. არამდომერ

კურთხევა და მითხა: „მანურებ კარგათ, ნათლათ და ცეთილ სახიერათ, თუ შეგიძლია ქადაგებაც სთქვი დღეს...“.

შადაგების სათქმელად მე სრულიად არ ეიყავ მომზადებული. მე ჭიუშიდაც არ მომსყლია, რომ ყოვლად ასამღვდელო მე მისრაძებდა იმ დღეს ქადაგების წარმოთქმას. ერთის მხრით ყოვლად სამღვდელოს ქებით გახარჯებულმა და მეორეს მხრით საქადაგებლათ მოუმზადებელმა წმ. საიდუმლო ზიარების მაღების შემდეგ შეესთხოვე ღმირთს დახმარება ამა საქმეში. შეუვეო და ყოვლად წმიდაო მღვთის მშობელო, მომანიჭე მე ნიკიერება და შემდეგ საგალობელისა: „იყავნ სახელი შფლისა კურთხეულ ამიერ და უკუნისამდე,“ გამოვედი ამბიონზედ ქადაგების წარმოსათქმელათ. გამოვდივარ და ვხედავ იმდენ ხალხს, რომ ჩემს ეკულესიაში იმოდენი ხალხიარას ოდეს არ ყოფილა: ჩენებურები, მეზობელ სოფლებიდგან მოსული მებატონები და ყოვლად სამღვდელოს კრებული ყველა ესრი ჩემს თვალების წინ დვანან და საკურთხევლში ჩემვან ხუთ ნაბიჯზედ თვითონ მღვდელ-მთავარია....

„მართლ-მაღილებელნო, ლეთის მოყვარეონ და მეუფისაგან დაუყულნო მრისტიანენო, დავიწყე ასე ჩემი ქადაგება,—ამ წყნარ ტაძარს თავის აშენების დღიდგან დღემდისწნ არ უნახას აქ იმოდენა მღვთისმღლი-კველნი, რამდენსაც ეხლა ხედავს. თქვენ უველანი ძმანო, ჩემდა სასიხარულოთ, დღეს შეიკრიბენით ამა ტაძარში სანახავათ ახლად მოპრაძებულის ჩენის მეუფისა. ამნაირ თქვენს მოქმედებაში სჩანს, რომ დიდს პატიოს სკრმთ ყოვლად-სამღვდელოს, მაგრამ ძანო, თქვენ მარტო ყოვლად-სამღვდელოს კი არ უნდა უკუიროთ, არამედ უნდა გამოითხოვოთ მისგან ლოცვა კურთხევა, რომელიც მათის შემწეობით გვევლინება შფლისა ჩენისა ლეთისაგან. ზოვლად-სამღვდელოს ლოცვა კურთხევა არამთეუ მარტო დაგვამტკიცებს ჩენს სარწმუნოებაზედ, არამედ გაღმოვევლენს ჩენ მღვთის მაღლს და მოწყვალებას მოვგანიკებს, ბეჭინერებას ცხოვრებაში და შევგავავებს ჩენის ცოდვებისა და უსჯულებისაგან.“ პი ყველაფერი რაც იმ დღეს მოვიღონ უცებ სათქმელათ. დავბრუნდი საკურთხეველში და ვხედავ, რომ ყოვლად-სამღვდელოს პირისახეზედ სრულად სიმოვნება ეჩჩნევა ჩემს მოუმ. ზადებელი ქადაგების წარმოთქმით. შემდეგ თვითონ ყოვლად სამღვდელომ აიღო კვერთხი, გამოვიდა ამბიონზედ, გადასახა ჯვარი იქ მდგომ ხალხს და წარმოს.

თქვა: „მოეიწადებ რა თქვენთვის ლეთის კურთხევას, ვეედრები ძმანო, ჩემთ, რომ იყვნეთ ეკულესის და მის მსახურის პატიოს მცემელნი, მებატონებთან მართალნი, ერთმანეთს შორის მოყვარულნი, შრომის მოყვარენი და პატიოსანი და ლერთი, რომელსაც სიმშევიდე და წესიერება უყვარს, თქვენთან იქნების.“ მეალობლებმა იგალობებს საგალობელნი და ხალხიც მოვიდა ეპისკოპოსთან ლოცვა კურთხევას მისაღებათ. დაათვარიელა ეკულესის საბუთები ყოვლად სამღვდელომ და შემდეგ ინგან ჩემი ოჯახის ნახვაც, სადაც ნახა ჩემი სილარიბე და ხუთი თუმანი თავის ჯიბილგან მაჩუქა იჯახში რიგიან მოსაწყობად. ჩემი სახლიდგან ყოვლად-სამღვდელო წაბრძან და მებატონი ის სახლში, სადაც მისთვის მზადდებოდა მშვენიერი სადილი. სადილის შემდეგ ყოვლად-სამღვდელო ნახვარ საათზედ მეტი ელაპარაკებოდა მრმოვს. რაზედ ელაპარაკებოდა მრმოვს ყოვლად-სამღვდელო, მართალი უნდა გითხრათ, არ ციცი, მაგრამ შემდეგ იმის წაბრძანებისა, როდესაც მებატონებ დამიბარა და მომელაპარაკა, შევამჩნიე, რომ სრულიად სხეა კილო-თი მებაასებოდა, იგი იყო ეხლა ჩემი მოწყვალე და პატრონი. მაშინ გავიგე, რომ ეკულესის მწყემსს მმართებს, რომ ყოველთვის იყოს კრძალვით; მღვდელთ-მთავარმა, როდესაც ის ჩემისოფლიდგან წაბრძანდა, მითხა: „გახსოვდეს, რომ ეკულესის მწყემსისათვის არ კმარა, რომ მარტო მდიდრულათ იყოს დასაჩუქრებული ჰკუით, არამედ საჭიროა უწინარეს ყოვლისა, რომ მს ჰკუნდეს ოქროს გული.“ ამ სიტყვების დავიწყება მე ჩემს დღეში არ შემიძლია, რადგან იგი ნამდვილი ჰკუმარიტება!...“

თეოფილე სუსკიაძე.

ფელეგრამები.

1 ნოემბერს.

კოპენაგენი. დანიის კურთხლი არ დასთან-სმდა, რომ პრინცმა ვალდებარს მიღინდობა ბოლგარისათ.

ვენი. უკუთხ დღინი სახელმწიფო არ წარმოდგენებ თავათოს ჭანდიდატს ბოლგარის ცახტის დასაჭერად, დიდი საერთო კრება, უთუოდ, ხელ-ახლად სარეგებენტოს დაუმტკიცების მ.ნდობილობას, კარიველო კა-კი გამორიცცავს რეგენტობიდამ.

ტიტოვი. კრებამ თანხმობა გამოსთხვა კართველოვას სამას სურიდამ გამოსკვლაზე და თან საუკედებო გამოუცხადა კარიველოებს იმის გამო, რომ წინად ბატენიერებს ულალატე და ეხლა ბოლგარის ჭალატობა. კარიველოვას აღვიდას ივერი ჩადგა.

ვეშტი. ვენგრის დელეგატების ქამისის კალვინიშ სხვათა შესრულებულის უთხისა: აკსტრია-ვენგრია იმისა ცდილობს, რომ ის დამოუკიდებლობა, რომელიც ეკრიპტომიანის ბოლგარისა, არ დაირღვეს, რადგან ეს შერძის წინააღმდეგით იქნებო. აკსტრია არ ჰუნიქობს ახალის ქვეყნების შექნას და არც იმის ეჭიდება, რაც შეპრეულ პირობებს აღლვებს. თუ ბოლგარის საქმე მშვიდობიანად გათავდა, უნდა ვეცალებოთ, რომ ეს საქმე ამ ბზიდამ აღარ გადგიდეს. ეკრიპტოს ორივე ღლეში შეუძლიან ხეთი მალინი ჯარა გამოიყენოს. ის, ვანც ამოდენ, ჯარის დაძრის საბუთს მისცემს ეკრიპტოს, დადას შესუსის გებაში იქნება. ბოლგარების სურვილი, რომენადაც კი შესაძლოა, უნდა შეწყინობულ იქნება. ბოლგარისა და აღმოსავლეთ რუმელის შეერთება აკსტრიას ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ჩვენ მსოფლიდ იმას უნდა ვეცალებოთ, ისეთი ამბავი არ მოხდეს. არ, რომ ბოლგარის საქმე მთელ ეკრიპტის საქმედ გარდიქცეს. ეს მოხდება მაშინ, თუ, მაგალითად, რუსეთის წარმომადგენელი მთელის ბოლგარის გამგეონას ხელი იგდებს, ან თუ სასაპირო აღილებს და ან კიდევ მთელს ბოლგარისა. გვინებოთ, რომ საქმე მშვიდობიანათ გათავდება: ჩვენ უკელის გვსურს მშვიდობიანობას, სოდაც არ უკელის შემთხვევაში-კი. რუსეთისა და ბოლგარის შერას განწევანის კრიტიკისა და აკსტრიამ ჭკითხეს: ვანა გსურს გამოაცხდო ბოლგარის სამოვალო ტასტრის განადლობა და არ ეხდა რუსეთმა თავის ეღნის პირით ვენაში თავადი მეგრელიასა ნიკოლოზი დასახელდა.

შურშევი. ბოლგარის რეგენტებმა დატეს რუსების გზად გაიარეს და სოფიას წავიდნენ. როგორც, ეტერის, რეგენტებმა გადასწუვილეს, რომ შესცვალონ საქმეთ სარეთო მდგრამარებას. ამის მიზანი, ერთ ის მსრით, უცხო გავლენასა; სოდო უმთავრესად-კი უფრო ის უნდა იყოს, რომ რეგენტები ჭირობები, რა საფა-თერთვა მდგრამარებაში არიან ჩაგრძნოლია.

8 ნოემბერის

შურშევი. უკელა კონსულები რუსეთისა მიღიან ბოლგარისა და რუმელიდამ. რუსეთის სამსედორო გე-მები მზად არიან კონსულებისთვის. ამ გემბებში ჩასა-გენ რუსეთის უკელა გვაშერდომთ, რომელიც სამშო-ლოში დაბრუნებას მოისურვებან.

დეპეშით ატრიბინებენ გაზ. „Новости“, რომ უკელა და სამეცნიელოს თავადს ნიკოლოზის ამოინტე-გენ მთავრადათ. მთა უფრო შესაძლებელია ესა, რომ პირიც გალდებას უარი განუცხადება მთავრად უოფია-ზედ. ბერლინის გაზეთები სწერენ, რომ რუსეთის ელ-ჩემა ვენაში უკეგ გამოაცხადა აფიციალურად გრაფ კალ-ნიკის ამავად და კრისტიან განსოვანიც იმპერატორის ფრანც-იანის აცნობათ. ამ ერთის გვირის წინად, რო-გორც ჩვენს მკითხველებისაც მოქასენებათ, გენერალისა და აკსტრიამ ჭკითხეს: ვანა გსურს გამოაც-ხდო ბოლგარის სამოვალო ტასტრის განადლობა და არ ეხდა რუსეთმა თავის ეღნის პირით ვენაში თავადი მეგრელიასა ნიკოლოზი დასახელდა.

შინაარსი: წესდებანი, რომელიც საზღვრა-გენ ქართლის ეპარქიის სამდვდელოების კრების მოქმე-დებათა სივრცას. — არ ითვიცია დურუი ნაწილი: საეკლე-სიმრევლო და სახალხო სკოლების მდგრამარება დასკ-ლეთ საქართველოში წინეთ და ეხლა. — შორაპის მაზ-ლიდამ. — სენატის მაზრიდამ. — წერალი რედაქტორთან. — საისტორიო მასალა. — იქროს გული გაგრძელება. — და ტელეგრამებია.

Доз. цензурою Кутаиси, 9 Ноября, 1886 г.